

ქ. ფოთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9 კლასის

მოსწავლე იოანე ადამია

14 წლის

ძვირფასო მეგობარო!

მოგესალმები საქართველოდან — პატარა ქვეყნიდან კავკასიონის მთებსა და შავ ზღვას შორის, სადაც ხალხის გულებში ჯერ კიდევ ძველ დიდი ისტორია, ტკივილიანი გზა და თავისუფლების დაუცხრომელი წყურვილი. დავიბადე დამოუკიდებელ საქართველოში. იმ სახელმწიფოში, რომელმაც 1991 წელს, რამდენიმე თაობის ბრძოლით, ძველ იმპერიებს თავი დააღწია და საკუთარ გზას დაადგა. თუმცა, რასაც დამოუკიდებლობას ვეძახით, ის ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თავისუფლება უკვე დამდგარია. პირიქით — დამოუკიდებლობა მხოლოდ საწყისი აღმოჩნდა რთული, წინააღმდეგობებით სავსე გზისა თავისუფლებისკენ. ჩვენს საზოგადოებაში ხშირად

აიგივებენ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, მაგრამ ჩემთვის ეს ორი სრულიად განსხვავებული ცნებაა. დამოუკიდებლობა პოლიტიკური სტატუსია — სახელმწიფო სუვერენული, იურიდიულად ცალკე მდგომი ერთეულია. ხოლო თავისუფლება — ეს ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, აზროვნების, არჩევანის, ცხოვრების წესის თავისუფლება. მე, როგორც ახალგაზრდა მოქალაქე, განვიცდი ამ განსხვავებას ყოველდღიურობაში. შეიძლება სახელმწიფო დამოუკიდებელია, მაგრამ ადამიანს არ აქვს საკმარისი თავისუფლება გამოხატოს საკუთარი აზრი, იყოს განსხვავებული, აკეთოს არჩევანი სტიგმისა და ზეწოლის გარეშე.

საქართველომ დამოუკიდებლობისკენ მიმავალი მეტად მტკივნეული და რთული გზა გამოიარა. საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა მრავალჯერ იყო ოკუპირებული — ჯერ მონღოლების, შემდეგ - სპარსელების, ოსმალებისა და ბოლოს — რუსეთის იმპერიის მიერ. მე-20 საუკუნეში მცირე ხნით, 1918 წელს, საქართველომ ერთხელ უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა, თუმცა ამ დამოუკიდებლობამ მხოლოდ სამი წელი გასტანა — საბჭოთა ოკუპაციამ ქვეყნის განვითარების პერსპექტივა შეწყვიტა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, თუმცა ეს გზა სავსე იყო სისხლით, შფოთითა და სამოქალაქო დაპირისპირებით. 90-იანი წლები ქვეყნისთვის იყო უკიდურესი სიღარიბის, ენერგეტიკული კრიზისის, ქაოსისა და იმედგაცრუების პერიოდი. მაშინ დამოუკიდებლობა არ ნიშნავდა სტაბილურობას.

დამოუკიდებლობამ მოგვცა შანსი, გვეშენებინა ისეთი სახელმწიფო, როგორიც გვინდა, მაგრამ ამ შანსის თანმდევი იყო მძიმე გამოცდა — ომები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ათასობით დევნილი, გაუბედურებული ქვეყანა, რომელიც წლების განმავლობაში ნელ-ნელა გამოვიდა კრიზისიდან. რეფორმებმა დააანონსა ახალი ერა — სასამართლოს დამოუკიდებლობა, განათლების სისტემის ცვლილებები, ინფრასტრუქტურის განვითარება, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზანი. თუმცა, მიუხედავად ამ წარმატებებისა, ხშირად საკუთარ თავში ვსვამ კითხვას: ნამდვილად ვართ თავისუფლები? ნამდვილად ვცხოვრობთ ისეთ საზოგადოებაში, სადაც ყველას თანაბარი შესაძლებლობა აქვს, სადაც აზრის გამოთქმა უსაფრთხოა, სადაც ახალგაზრდას ეძლევა განვითარების რეალური საშუალება?

ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ გამბედაობით არ უყურებს განსხვავებულ აზრს. ხშირად გვაკლბია ტოლერანტობა, ვამტყუნებთ იმას, ვინც განსხვავებულად ფიქრობს, სხვანაირად ცხოვრობს. თავისუფლება ნიშნავს კრიტიკულ აზროვნებას. თავისუფლება ნიშნავს იმის გაგებას, რომ შეიძლება ჩემს აზრზე მეტი აზრიც არსებობდეს, და ეს განსხვავება არ არის მტრული, არამედ საჭიროა განვითარებისთვის.

მე მჯერა, რომ თავისუფლება — ეს არ არის მხოლოდ დემოკრატიული მმართველობა. ეს არის კულტურა — ურთიერთობების, განათლების, საჯარო სივრცის, მედიის კულტურა და ეს კულტურა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. საქართველო ყოველთვის აცხადებდა თავის ევროპულობას, და მართლაც — კულტურულად და ისტორიულად ჩვენ ევროპულ ცივილიზაციას მივეკუთვნებით. თუმცა ევროპა არ არის მხოლოდ გეოგრაფია. ევროპა არის ღირებულებები — ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, თანასწორობა, განათლება, თავისუფლება. ეს ღირებულებები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ფესვგადგმული ქართულ საზოგადოებაში. სირთულეა — ჯეროვნად აღვიქვათ რას ნიშნავს ტოლერანტობა, გენდერული თანასწორობა, კრიტიკული მედია, შრომის თავისუფლება, განათლებაზე თანაბარი წვდომა. ევროპა ჩვენთვის არის ორი გზის

არჩევანი: ან ვიტყვით, რომ ჩვენ უკვე ვართ ევროპელები მხოლოდ მემკვიდრეობით, ან შევეცდებით ეს სიტყვა გავამართლოთ ყოველდღიური ქმედებით.

მართალია, მე არ მახსოვს საბჭოთა კავშირი, არ მინახავს „რკინის ფარდა“ და სიტყვიერი ცენზურა. მე გავიზარდე ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, მაგრამ ხშირად ვგრძნობ უხილავ ზღუდეებს, რომლებიც აზროვნებას ავიწროებს — მაგალითად, როცა ახალგაზრდას აზრს არ უსმენენ, როცა განათლების მიღება დამოკიდებულია რეგიონზე ან ოჯახურ მდგომარეობაზე, როცა სხვაგვარად მოაზროვნე სტიგმატიზებულია.

მჯერა, რომ თავისუფლება იწყება განათლებიდან. განათლება კი არ არის მხოლოდ ინფორმაცია — ეს არის იმუნიტეტი მანიპულაციისგან, ძალაუფლების ბრმა მორჩილებისგან და ჯგუფური ზეწოლისგან დასაცავად. დამოუკიდებლობა საჩუქარი არ არის — ის არის პასუხისმგებლობა და თავისუფლება — არც ესაა მარტივად მოცემული მდგომარეობა. ის ყოველდღიური ბრძოლაა — ჯერ საკუთარ თავში, მერე ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში.

ჩვენ, ახალგაზრდები, ვართ ის თაობა, რომელმაც შეიძლება მართლაც გაამართლოს დამოუკიდებლობის იდეა. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ საზოგადოება, სადაც ადამიანები არ არიან დაყოფილნი „ჩვენებად“ და „ისებად“, არამედ ცხოვრობენ ერთად, სოლიდარულად და ღირებულებებზე დაფუძნებულად.

ააჩემო ევროპელო მეგობარო! მინდა იცოდე, რომ ჩვენ ვიბრძვით არა მხოლოდ დამოუკიდებლობისთვის, არამედ — თავისუფლებისთვის! არა მარტო გეოგრაფიული ადგილის, არამედ ცნობიერების ცვლილებისთვის! ეს ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება.

გულის სიღრმეში ღრმად მწამს და მჯერა, რომ ოდესღაც ჩვენ ვიქნებით ნაწილი იმ ევროპისა, რომელიც არ იქნება მხოლოდ კავშირი სახელმწიფოებს შორის, არამედ თანამოაზრე საზოგადოებების ერთობა.

მადლობა, რომ მომისმინე.

მომავალ შეხვედრამდე!

შენი ქართველი მეგობარი იოანე ადამია

20.05.25

Dar friend!

Greetings from Georgia — a small country between the Caucasus Mountains and the Black Sea, where a deep history, a painful journey, and an unyielding desire for freedom still pulse in people's hearts.

I was born in independent Georgia — a country that, in 1991, after generations of struggle, broke free from old empires and began walking its own path. However, what we call independence does not necessarily mean that freedom has already been achieved. On the

contrary — independence was just the beginning of a long, complex, and often difficult road toward true freedom.

In our society, independence and freedom are often seen as one and the same. But to me, they are two very different concepts. Independence is a political status — the legal sovereignty of a state. Freedom, however, is an internal condition — the ability of a person to think, choose, and live freely.

As a young citizen, I experience this distinction in everyday life. A state may be independent, but people may still lack the freedom to express their opinions, to be different, to make choices without stigma or pressure.

Georgia's road to independence has been painful and challenging. For centuries, our country was repeatedly occupied — first by Mongols, then Persians, Ottomans, and finally by the Russian Empire. In the 20th century, in 1918, Georgia declared independence for a brief moment, but that lasted only three years. The Soviet occupation abruptly ended our country's development prospects.

After the collapse of the Soviet Union in 1991, Georgia once again declared independence. But the path was filled with bloodshed, unrest, and civil conflict. The 1990s were a time of extreme poverty, energy crises, chaos, and deep disappointment. Back then, independence did not mean stability.

Still, independence gave us the chance to build a state the way we envisioned. Yet, that chance came hand in hand with great trials — wars in Abkhazia and South Ossetia, thousands of internally displaced people, and broken families.

Over the years, Georgia gradually began to emerge from the crisis. Reforms announced a new era — the judiciary became more independent, the education system started to change, infrastructure improved, and we began to set our sights on Euro-Atlantic integration.

Despite these achievements, I often find myself asking: are we truly free? Do we live in a society where everyone has equal opportunities, where expressing one's opinion is safe, where young people have real chances to grow?

Georgian society still struggles to fully embrace diverse ideas. We often lack tolerance and are quick to judge those who think differently, live differently, or adopt unfamiliar experiences.

Freedom requires critical thinking. It requires us to understand that there are more views than just our own, and that difference is not something to fear — it's essential for progress.

I believe that freedom is not just about having democratic institutions. It's about culture — a culture of relationships, education, public discourse, and media. And this culture is still in the making.

Georgia has always declared itself to be European, and in truth — both culturally and historically — we do belong to European civilization. But Europe is not just a geographical location. Europe represents values — human rights, rule of law, equality, pluralism, education, and freedom.

These values have not yet fully taken root in Georgian society. It is still difficult for many to grasp the meaning of tolerance, gender equality, critical media, labor rights, and equal access to education.

For us, Europe is a crossroads: we can either claim we are European simply by heritage, or we can try to earn that title through our everyday actions.

I do not remember the Soviet Union. I never saw the “Iron Curtain” or lived through state censorship. I was raised in the era of the internet, social media, and digital technologies. And yet, I still feel invisible barriers that limit thought — for example, when young people’s voices are ignored, when access to education depends on geography or family income, or when someone who thinks differently is labeled and isolated.

I believe freedom starts with education. And education is not just knowledge — it is immunity against manipulation, blind obedience to power, and group pressure.

Independence is not a gift — it is a responsibility. And freedom — it is not a fixed state, but a daily struggle. A struggle within ourselves, in our families, schools, and broader society.

We, the youth, are the generation that may finally fulfill the promise of independence. We can create a society where people are not divided into “us” and “them,” but live together, in solidarity, based on shared values.

My dear European friend, I want you to know that we are fighting not only for independence but also for freedom. Not just for a place on the map, but for a change in consciousness. This struggle is still ongoing.

I believe that someday soon, we will be part of a Europe that is more than just a union of states — a true community of shared ideals.

Thank you for listening.

Your friend from Georgia Ioane Adamia

See you next time!

20.05.25